ევროპისმცოდნეობა

დარგობრივი დოკუმენტი – სამუშაო ვარიანტი

I. სფეროს აღწერა

1. შესწავლის საგანი

ევროპისმცოდნეობა არის შედარებით ახალი დარგი, რომლის ჩამოყალიბებაც ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებმა განაპირობა. საქართველოს ევროპასთან დაახლოების ფონზე ვითარდება საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი კავშირები ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებთან. ამ ფონზე საქართველოშიც მნიშვნელოვანია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება.

ევროპისმცოდნეობა მაღალი ინტერდისციპლინურობით ხასიათდება და შეიძლება მოიცავდეს სამართალმცოდნეობას, ეკონომიკას, პოლიტიკის მეცნიერებას, ბიზნესის ადმინისტრირებას, ფილოსოფიას, ისტორიას, სოციოლოგიას, დემოგრაფიას, გეოგრაფიასა და კულტუროლოგიას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროპული ინტეგრაციის საკითხებს.

ევროპისმცოდნეობა სწავლობს ევროპულ საზოგადოებას, მისი ისტორიის, ფასეულობების, იდეების, ინსტიტუციური და სოციალური პროცესების თვალსაზრისით. პროგრამა შეიძლება აიგოს როგორც საერთოევროპული, ისე ეროვნული, რეგიონულ და ადგილობრივი მიდგომით.

2. დასაქმების სფერო

დასაქმების სფერო განისაზღვრება ევროკავშირთან და ევროპულ ქვეყნებთან დაკავშირებული საქმიანობის ფართო სპექტრით.

კურსდამთავრებული დასაქმდება:

- საჯარო დაწესებულებებში,
- არასამთავრობო სექტორში,
- საერთაშორისო მთავრობათაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში,
- კერძო სექტორში,
- მასმედიაში.

II. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და კვალიფიკაცია

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია თეორიულ-სამეცნიერო პროფილით, თუმცა შესაძლებელია ითვალისწინებდეს პრაქტიკულ კომპონენტსაც.

კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის (BA) აკადემიური ხარისხი.

III. სწავლის შედეგები

1. დარგობრივი კომპეტენციები:

ა) ევროკავშირის ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ცოდნა

- გაეცნოს ევროკავშირის ინსტიტუტებსა და პროცედურებს, მათ თეორიულ საფუძვლებს, ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას;
- გააცნობიეროს ევროკავშირის ინსტიტუტების როლი, ფუნქციები და მნიშვნელობა ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტში;
- შეისწავლოს და განასხვავოს ევროკავშირის ცალკეული პროცედურის თავისებურებები.

ბ) ევროკავშირის პოლიტიკების ცოდნა

- გაეცნოს ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკას;
- გააცნობიეროს პოლიტიკების მნიშვნელობა და კომპლექსურობა;
- დააკავშიროს ცალკეული პოლიტიკები ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტთან.

გ) ევროპული მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის ინტერპრეტირების უნარი ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში

- გააცნობიეროს ევროპულ განზომილებაში არსებული პრობლემები და მონახოს მათი გადაჭრის გზები;
- დაინახოს ევროპული მოვლენების კავშირი ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ პროცესებთან;
- გამოიმუშავოს ევროპული მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის გააზრებისა და ადეკვატურად რეაგირების უნარი.

2. ზოგადი კომპეტენციები:

ა) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შესწევს უნარი სწავლების პროცესში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას და გამოიყენოს კონკრეტული პრობლემების გადაჭრისას.

ბ) აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი

შესწევს უნარი დამოუკიდებლად, ადეკვატური მეთოდების გამოყენებით გააანალიზოს ახალი და განყენებული მონაცემები, მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს და დაუკავშიროს არსებულ ცოდნას.

გ) სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი

შესწევს უნარი დამოუკიდებლად გაიღრმავოს ცოდნა, დაადგინოს ინფორმაციის წყაროები (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, იგი დაუკავშიროს არსებულ ცოდნას.
დ) დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება

მოახდინოს ცოდნის აკუმულირება, გაითავისოს დარგის სპეციფიკა, გააცნობიეროს ინტერდისციპლინურობა და ესმოდეს დარგის მნიშვნელობა.
ე) პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი

ფლობს პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი ფორმულირების უნარს, შეუძლია განავითაროს თეზისი და შეარჩიოს პრობლემის ადეკვატური გადაწყვეტის გზა. შესწევს შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.
ვ) მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი

შესწევს მშობლიურ და მინიმუმ ერთ უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოპოვებისა და ზეპირი და წერილობით გადაცემის უნარი, ასევე შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგიები.

IV. სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლის შედეგები განაპირობებს სწავლებისა თუ სწავლის ადეკვატური მეთოდის შერჩევას. კლასიკური ლექციის ფორმატში სასურველია მაღალი ინტერაქტიულობის მქონე მეთოდების ინტეგრაცია. დარგის სპეციფიკა განაპირობებს ინტერდისციპლინური მიდგომის დამკვიდრებას. ინტერდისციპლინურობაში იგულისხმება შეთავაზება სასწავლო კურსებისა, რომლებიც აერთიანებს ევროპისმცოდნეობისათვის მნიშვნელოვან ცოდნას სხვადასხვა დარგიდან. ასევე შესაძლებელია კურსის ინტერდისციპლინურობა გამოიხატოს სხვადასხვა დარგის ურთიერთდაკავშირებულად სწავლებაში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სინთეზის შესაძლებლობა.

ცალკეული კომპეტენციის გამომუშავებისას უნდა გამოიყენებოდეს სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პროექტის შემუშავება, პრეზენტაცია, საშინაო დავალება და დამოუკიდებელი მუშაობის სხვა ანალოგიური ფორმები, ასევე შესაძლებელია ინტეგრირებულ იქნეს პრაქტიკული კომპონენტი.

დარგობრივი დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის ფარგლებში. მას საფუძვლად დაედო თუნინგის კომპეტენციების კითხვარების საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციები. წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:
წინამდებარე დოკუმენტის ავტორები არიან:

1. დავით კერესელიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი;
2. დავით აფრასიძე – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
3. გაგა გაბრიჩიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ჟან მონეს სახელობის კათედრის ხელმძღვანელი.